სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბაკალავრო ნაშრომის ჩაბარებისა და დაცვის გრაფიკი

2015-2016 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრი

N	მიმართულება	საბაკალვრო ნაშრომის ჩაბარების თარიღი, საათი, ოთახი	საბაკალვრო ნაშრომის დაცვის თარიღი, აუდიტორია, საათი	საბაკალვრო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრები
1.	სოციოლოგია	30 ივნისი, 17:00 სთ. IV კორპ. N306	5, 6, 7 ივლისი, 10:00 სთ. IV კორპ. N309	კომისიის თავ-რე - პროფ.ი. კაჭკაჭიშვილი, კომისიის წევრები: პროფ.ა. ბერძენიშვილი, ასოც.პროფ. ლ. გაფრინდიაშვილი, ასოც.პროფ. ნ. დურგლიშვილი, ასოც.პროფ. ნ. დონაძე, ასოც.პროფ. მ. ბურძენიძე, ასისტ.პროფ. შ. თურქიაშვილი.
2.	სოციალური მუშაობა	30 ივნისი, 17:00 სთ. IV კორპ. N306	8,9 ივლისი, 10:00სთ. IV კორპ. N309	კომისიის თავ-რე - პროფ. ი. კაჭკაჭიშვილი, კომისიის წევრები: ასოც.პროფ. თ. მახარაძე, ასისტ.პროფ. თ. მატარაძე, ასისტ.პროფ. ს.ნამიჭეიშვილი, ასისტ.პროფ. ზ. ტატანაშვილი
3.	პოლიტიკის მეცნიერება	30 ივნისი, 17:00 სთ. IV კორპ. N301	7,8,9 ივლისი, 10:00 სთ. IV კორპ. N 207	კომისიის თავ-რე: პროფ.ა.კუხიანიძე, კომისიის წევრები: პროფ.კ.კაკაჩია, ასოც.პროფ.ნ.მაჭარაშვილი, ასოც.პროფ.ს.დუნდუა, ასისტ.პროფ. ა.ტუკვაძე, ასისტ.პროფ.ა.წურწუმია, სისტ.პროფ.ზ.აბაშიძე, ასისტ.პროფ.ვ.დოლიძე
4.	საერთაშორისო ურთიერთობები	30 ივნისი, 17:00სთ. IV კორპ. N 202	დაცვის გარეშე	კომისიის თავმჯდომარე: პროფ. ს. კაპანაძე კომისიის წევრები: პროფ. ზ. დავითაშვილი, ასოც. პროფ. ფ. ასანიშვილი, ასოც. პროფ. თ. თურმანიძე, ასისტ. პროფ. ს. პეტრიაშვილი, მოწვეული ლექტორები: ე. აკობია, კ. შუბითიძე, შ. ლორთქიფანიძე, ს. ალავერდაშვილი
5.	საზოგადოებრივი გეოგრაფია	15 ივნისი, 17:00სთ.	დაცვის გარეშე	კომისიის თავ-რე - პროფ.გ. გოგსაძე, კომისიის წევრები: პროფ. რ.გაჩეჩილაძე,

		IVკორპ. N 211		პროფ.ვ.ლორთქიფანიძე, პროფ. ი.სალუქვაძე, ასოც.პროფ. ვ. მელიქიძე, ასოც.პროფ. თ.დოლბაია, ასოც.პროფ. ნ.პავლიაშვილი, ასოც.პროფ.მ.ბოკერია, ასოც.პროფ. ი.იაშვილი, ასოც.პროფ. ა.სახვაძე, ასისტ.პროფ.გ.კვინიკაძე, ასისტ.პროფ. ა. ჩხაიძე, ასისტ.პროფ. ბ.წერეთელი
6.	ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია	20 ივნისი, 17:00 სთ VI კორპ. N 206	4,5 ივლისი 10:00 სთ. VI კორპ. N 303	კომისიის თავ-რე ასოც.პროფ. თ.ჯოლოგუა, ასისტ.პროფ. ნ.ჭალაგანიძე, ასოც.პროფ. მ.შამილიშვილი, ასოც.პროფ. მ. წერეთელი, ასოც.პროფ. ნ. კუპრაშვილი, ასოც.პროფ.რ.ვაშაკიძე, ასოც.პროფ.ნ.ტალახაძე
	ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია (რუსული სექტორი)	20 ივნისი, 17:00 სთ. VI კორპ. N 206	6 ივლისი, 10:00 სთ. VI კორპ. N 303	კომისიის თავ-რე - ასოც.პროფ. ი.ბიჭიკაშვილი კომისიის წევრები: ასისტ.პროფ. ნ. ჭალაგანიძე, ასისტ.პროფ. ხ.კაჭარავა, მოწვეული პედაგოგი ზ.დოლიძე

ფაკულტეტის დეკანის მოადგილე,

ასოცირებული პროფესორი მარინა ბურძენიძე

საბაკალავრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესი

საბაკალავრო ნაშრომის მიზანი

საბაკალავრო ნაშრომის მიზანია სწავლის პროცესში მიღებული ცოდნის სისტემატიზაცია - დარგობრივი ცოდნის, კვლევითი, შემოქმედებითი თუ პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამოვლენა.
საბაკალავრო ნაშრომი წარმოადგენს სტუდენტის მიერ ინდივიდუალურად ან ჯგუფურად შესრულებულ სამუშაოს. ჯგუფური სამუშაოს შემთხვევაში, ანოტაციაში უნდა გამოიკვეთოს და მიეთითოს თითოეული მონაწილის წვლილი.
საბაკალავრო ნაშრომში/პროექტში უნდა აისახოს სწავლის პერიოდში შეძენილი თეორიული თუ პრაქტიკული ცოდნა.

საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი

საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელს სტუდენტი ირჩევს შესაბამისი მიმართულების აკადემიური პერსონალიდან (პროფესორი, ასოცირებული და ასისტენტ-პროფესორი). თუმცა, შესაძლოა, სტუდენტმა აირჩიოს მოწვეული სპეციალისტიც/პროფესორიც.

საბაკალავრო ნაშრომის თემის არჩევა

- საბაკალავრო ნაშრომის თემის არჩევის შესახებ სტუდენტი დამამთავრებელი სემესტრის დაწყებამდე შესაბამისი განცხადებით მიმართავს საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელს; განაცხადში მითითებული უნდა იყოს თემის სათაური და ხელმძღვანელი;

- სემესტრის დასწყისში, აკადემიური რეგისტრაციისთვის დადგენილ ვადებში, სტუდენტი სასწავლო ბარათში (sms.tsu.ge) აფიქსირებს თავის არჩევანს და რეგისტრირდება საგანზე: „საბაკალავრო ნაშრომი“ (შესაბამისი საბაკალავრო პროგრამის მითითებით).

საბაკალავრო ნაშრომის სტრუქტურა

საბაკალავრო ნაშრომის სტრუქტურა შედგება შემდეგი ნაწილებისაგან:

1. თავფურცელი (სატიტულო ფურცელი);
2. სარჩევი (შინაარსი);
3. ანოტაცია (ქართულ და ინგლისურ ენაზე);
4. შესავალი;
5. ტექსტის ძირითადი ნაწილი;
6. დასკვნა;
7. გამოყენებული ლიტერატურის სია.

თავფურცელი (სატიტულო ფურცელი): ივსება ქვემოთმოყვანილი წესის მიხედვით

- უმაღლესი სასწავლო დაწესებულებისა და პროგრამის დასახელება (ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, საბაკალავრო პროგრამის დასახელება) (შრიფტის ზომა: 14);
- 2-3 სმ-ის დაშორებით იწერება სტუდენტის სახელი და გვარი (შრიფტის ზომა: 16);
- შუა ნაწილში იწერება ნაშრომის სახელწოდება (შრიფტის ზომა: 16);
- ნაშრომის დასახელების ქვემოთ იწერება მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი, რომლის მოსაპოვებლად არის წარმოდგენილი ნაშრომი დასაცავად (შრიფტის ზომა: 14);
  (მაგ.: ნაშრომი შესრულებულია სოციოლოგიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად);
- თავფურცლის მარჯვენა ქვედა მხარეს იწერება ნაშრომის ხელმძღვანელის სახელი, გვარი, აკადემიური ხარისხი, აკადემიური თანამდებობა (შრიფტის ზომა: 12);
- სულ ქვემოთ, ფურცლის შუა ნაწილში, იწერება ნაშრომის შესრულების ადგილი და დრო, ქალაქი და წელი (მაგ:თბილისი, 2015 წელი) (შრიფტის ზომა: 12)

სარჩევი (შინაარსი)

მოცემული უნდა იყოს ნაშრომის სრული ტექსტის ყველა თავისა და პარაგრაფის ზუსტი დასახელება თანმიმდევრულად მათი გვერდების ნომრის მარჯვენა მხარეს მითითებით. გვერდების ნუმერაცია უნდა დაიწყოს სარჩევის მომდევნო გვერდიდან თავფურცლის, ანოტაციის და შინაარსის გვერდების რაოდენობის გათვალისწინებით.

ანოტაცია

აისახება თემის აქტუალობა, მიზნები, ამოცანები, კვლევის საგანი, ობიექტი, ძირითადი შედეგები, სიახლე; მოცულობა 100-150 სიტყვა, ანოტაცია იწერება ქართულად და ინგლისურად. უცხოენოვანი ვარიანტი უნდა შეიცავდეს თემის დასახელებას, ავტორის სახელსა და გვარს. ჯგუფური ნაშრომის ან შემოქმედებითი პროექტის შესრულებისას, ანოტაციაში უნდა განოიკვეთოს და მიეთითოს თითოეული მონაწილის წვლილი.

შესავალი:

ნაშრომის ამ ნაწილში აისახება თემის აქტუალობა და მნიშვნელობა, ნაშრომის მიზნები და ამოცანები, საკვლევი საგანი, გამოყენებული მეთოდ/ებ/ი, მიდგომები, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და საინფორმაციო რესურსები (ასეთის არსებობის შენთხვევაში).

ტექსტის ძირითადი ნაწილი:

ტექსტის ძირითადი ნაწილი უნდა დაიყოს თავებად და პარაგრაფებად. ტექსტში უნდა ჩანდეს საკვლევ საკითხზე არსებული ლიტერატურის მიმოხილვა, თეორიული და ემპირიული კვლევის ეტაპები და შედეგები.

დასკვნა: ასახავს კვლევის/შემოქმედებითი პროექტის თეორიულ და პრაქტიკულ შედეგების ინტერპრეტაციას, ძირითადი დასკვნები, მიგნებები ან/და რეკომენდაციები.

ტექსტის გაფორმების წესი:

1. ტექსტი აკრეფილი უნდა იყოს A4 ზომის სტანდარტულ ფურცელზე
2. შრიფტის სახე - Sylfaen
3. ტექსტის შრიფტის ზომა - 12
4. თავები ინომრება თანმიმდევრულად
5. პარაგრაფს დაესმის თავისა და პარაგრაფის ნომრები
6. თავების/პარაგრაფების შრიფტის ზომა - 16/14
7. სქოლიოს შრიფტის ზომა -10
8. სტრიქონებს შორის მანძილი -1,5 ინტერვალი;
9. ფურცლის გვერდზე ტექსტის მინდორი: მარცხნიდან -3 სმ, მარჯვნიდან -1სმ, ზემოდან -2.5 სმ, ქვემოდან 2.5ს;
10. ნაშრომის მოცულობა არანაკლებ 20 გვერდისა (დანართებისა და მითითებული ლიტერატურის გარეშე). ჯგუფური საბაკალავრო ნაშრომის მოცულობა 2 სტუდენტის შემთხვევაში 30 გვერდი, 3 სტუდენტის შემთხვევაში 40 გვერდი.

გამოყენებული ლიტერატურის მიმართ გასათვალისწინებელი მოთხოვნები:

საბაკალავრო ნაშრომი უნდა მომზადდეს სოციალურ მეცნიერებებში დამკვიდრებული APA-ს სტილის (ამერიკელ ფსიქოლოგთა ასოციაცია) გამოყენებით (იხ. დანართი 1).

პლაგიატი

ნაშრომში სხვათა მოსაზრებების, ფრაზებისა და წინადადებების გამოყენებას არასათანადო წესებით (ლიტერატურული წყაროს მითითების გარეშე) ეწოდება პლაგიატი.

პლაგიატი (plagiatus ლათ.) ნიშნავს მიტაცებულს. მეცნიერებაში პლაგიატი ეწოდება ნებსით თუ უნებლიედ, სხვისი იდეების საკუთარ იდეებად გასაღებას. ეს „იდეები“ შეიძლება იყოს ნაბეჭდი ან ელექტრონული მასალა, დაწყებული მარტივი წინადადებებითა და დამთავრებული მთელი პარაგრაფებით; ამასთან, ეს შეიძლება იყოს სტატისტიკური მონაცემები, ლაბორატორიული კვლევის შედეგები, ხელოვნების ნიმუშები და ა.შ. პლაგიატი შეიძლება იყოს განზრახული ან უყურადღებობით დაშვებული. ***პლაგიატის აღმოჩენის ნებისმიერ შემთხვევაში საბაკალავრო ნაშრომი მიმდინარე სემესტრში დაცვაზე არ დაიშვება.***

საბაკალავრო ნაშრომის წარდგენა:

- სტუდენტმა საბაკალავრო ნაშრომი ელექტრონულ ვერსიასთან (CD) ერთად, უნდა წარადგინოს შესაბამის მიმართულებაზე საგამოცდო პერიოდის დაწყებიდან ერთი კვირის განმავლობაში;
- საბაკალავრო ნაშრომის დაგვიანებით წარდგენის შემთხვევაში სტუდენტი დაცვაზე არ დაიშვება;
- საბაკალავრო ნაშრომი უნდა იყოს აკინძული (ზამბარით აკინძული ან ყდაში ჩასმული);
- საბაკალავრო ნაშრომი ფასდება 100-ქულიანი სისტემით.
- ნაშრომის წარდგენიდან 1 კვირის ვადაში პროგრამის ხელმძღვანელმა უნდა უზრუნველყოს საბაკალავრო ნაშრომის რეცენზირება აკადემიური პერსონალის ან/და მოწვეული პედაგოგების მიერ.
- საბაკალავრო დაცვაზე პროგრამის ხელმძღვანელმა კომისიას უნდა გააცნოს რეცენზენტების და ხელმძღვანელების შეფასებები.

საბაკალავრო ნაშრომის დაცვა:

- საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელმა ფაკულტეტის სასწავლო განყოფილებას უნდა მიაწოდოს საბაკალავრო დაცვის თარიღი და ნაშრომების დაცვის კომისიის შემადგენლობა (არანაკლებ 3 წევრისა).
- საბაკალავრო ნაშრომის დაცვა ხდება საჯაროდ.
- ნაშრომი შეფასდება კომისიის მიერ ქვემოთ მოცემული შეფასების კრიტერიუმების საფუძველზე;
- პრეზენტაცია ფასდება კომისიის თითოეული წევრის მიერ. ამ კომპონენტში სტუდენტის საბოლოო შეფასება იანგარიშება კომისიის თოთოეული წევრის შეფასების საშუალო არითმეტიკულით.
- საბაკალავრო ნაშრომის საბოლოო შეფასებას წარმოადგენს ხელმძღვანელის, რეცენზენტის და კომისიის შეფასებათა ჯამი;
- საბაკალავრო ნაშრომი დაცულად ჩაითვლება და სტუდენტს შესაბამისი კრედიტი მიენიჭება, თუ მის მიერ მიღებული საბოლოო შეფასება მინიმუმ 51 ქულაა.
- საბაკალავრო ნაშრომის არადამაკმაყოფილებლად (F/FX) შეფასების შემთხვევაში, მისი დაცვაზე წარდგენა იმავე სემესტრში დაუშვებელია;
- საბაკალავრო ნაშრომის დაცვის პროცესი აისახება ოქმში, რომელსაც ადგენს კომისიის მდივანი.
- ოქმს თან უნდა ერთვოდეს ხელმძღვანელის, რეცენზენტის შეფასებები და ასევე კომისიის მიერ დაწერილი საბოლოო შეფასების უწყისი, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის წევრები.

დაცვის შემდგომი პროცედურები:

- დაცვიდან ორ დღეში ოქმი და უწყისი წარედგინება ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს, სტუდენტის სასწავლო ბარათში შეფასების შესატანად.
- სტუდენტთა საბაკალავრო ნაშრომები ინახება ფაკულტეტზე თსუ-ში დადგენილი წესის მიხედვით.

საბაკალავრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები:

1.საბაკალავრო ნაშრომი ფასდება ხელმძღვანელის ან/და რეცენზენტის მიერ (60 ქულა)	**მაქსიმალური ქულა – 60**
ა)შინაარსობრივი მხარე: ➢ საკვლევი საკითხის აქტუალობა - 10 ქულა; ➢ საკვლევი საკითხის რელევანტური თეორიების, პრინციპებისა და ფაქტობრივი მასალის ცოდნა და კრიტიკული გააზრება–15 ქულა; ➢ ანალიზის, არგუმენტებისა და დასკვნების გამართულობა - 15ქულა; ➢ ნაშრომის ენობრივი და სტილისტური გამართულობა –10 ქულა ***ბ) ფორმალური მხარე*** : ➢ (გაფორმება, ციტირება, სქოლიო, სარჩევი, ანოტაცია, პუნქტუაცია და ა.შ.) – 10 ქულა	
2. საბაკალავრო ნაშრომის პრეზენტაცია **(ფასდება კომისიის წევრების მიერ საჯარო დაცვის დროს)**	**მაქსიმალური ქულა – 40**
ა) ვერბალური მხარე ➢ საპრეზენტაციო მოხსენების რელევანტურობა საბაკალავრო ნაშრომის შინაარსთან–10 ქულა ➢ მსჯელობის არგუმენტირებულობა, გამართულობა –10 ქულა ➢ აუდიტორიასთან კომუნიკაცია ეთიკის სტანდარტების გათვალისწინებითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით–10ქულა ***ბ) ფორმალური მხარე*** ➢ საპრეზენტაციო მასალის გაფორმება და შესრულების დონე – 10	
ნაშრომის საბოლოო შეფასება (ხელმძღვანელის ან/და რეცენზენტის ქულა+კომისიის ქულა	**მაქსიმალური ქულა – 100** დადებითი შეფასება – მინიმუმ 51 ქულა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საბაკალავრო პროგრამის დასახელება

სტუდენტის სახელი, გვარი

საბაკალავრო ნაშრომის დასახელება

ნაშრომი შესრულებულია .... ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: სახელი, გვარი

აკადემიური თანამდებობა

თბილისი
201…

ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაციის APA ციტირების სტილი[1]

კვლევის ანგარიშის ტექსტში წყაროს მითითება ორი გზითაა შესაძლებელი: სქოლიოს ან „ჩართულის" გამოყენებით. თუმცა, ბოლო პერიოდში სოციალურ მეცნიერებებში „ჩართულის" გამოყენება უფრო პოპულარული გახდა, ვინაიდან მკვლევარნი მას უფრო მოსახერხებლად მიიჩნევენ. «ჩართული» საშუალებას იძლევა, წყარო პირდაპირ ტექსტში, უშუალოდ მოხსენიებისთანავე იყოს მითითებული. APA-ს ფორმატის ფარგლებში „ჩართულის" გამოყენებას თავისი წესები აქვს:

მთლიანი ნაშრომის შეჯამებისას, შეჯამებული პარაგრაფის ბოლოს, ფრჩხილებში მოთავსდება ავტორის გვარი და პუბლიკაციის თარიღი, რომლებიც მძიმით გამოიყოფა;
თუ ავტორი მოხსენიებულია შეჯამებულ ტექსტში, ფრჩხილებში მხოლოდ პუბლიკაციის თარიღი იქნება მითითებული;

თუ ავტორიცა და პუბლიკაციის თარიღიც მოხსენიებულია შეჯამებულ ტექსტში, «ჩართულის» გამოყენება საჭირო აღარაა;

თუ გარკვეული ქვეთავის ან პარაგრაფის პერიფრაზირებას ვახდენთ, ანდა უშუალოდ ციტატა მოგვყავს, ავტორის გვართან და პუბლიკაციის თარიღთან ერთად, აუცილებლად იწერება გვერდის ნომერიც;

როცა ნაშრომს ორი ავტორი ჰყავს, ყოველი მითითებისას, ჩართულში ორივე ავტორის გვარი იქნება;

როცა ნაშრომს სამი და მეტი ავტორი ჰყავს, პირველი მითითებისას, ჩართულში ყველა ავტორის გვარი იქნება წარმოდგენილი, შემდგომი მითითებებისას კი – მხოლოდ პირველი ავტორის გვარი და აღნიშვნა «et al.,» რაც ნიშნავს «და სხვები.»;

თუმცა პირადი წერილები, სატელეფონო საუბრები და მსგავსი მასალა, რომლის აღდგენაც შეუძლებელია, არ არის მითითებული ბიბლიოგრაფიაში ტექსტის შემდეგ, ისინი აუცილებლად მითითებულია «ჩართულში»;

თუ გარკვეული იდეა რამდენიმე წყაროშია მოხსენიებული, მისი მითითება შემდეგი სახით ხდება:

- ერთი ავტორის რამდენიმე ნაშრომის მითითება, მათი გამოცემის თარიღის მიხედვით ხდება: (ბლუმი, 1956, 1962).

- თუ ავტორს ორი ნაშრომი ერთ წელსაა გამოცემული, ისინი შემდეგი სახით უნდა განვასხვავოთ: (ბლუმი, 1956ა, 1956ბ).

- სხვადასხვა ავტორთა ნაშრომები მათი გვარების ანბანური თანმიმდევრობის მიხედვით უნდა მივუთითოთ და ერთმანეთისაგან წერტილ-მძიმით უნდა დავაშოროთ (გოულდი, 1989; სმიტი, 1983; ტერნერი, 1989).

[1] წულაძე, ლ. (2008). *რაოდენობრივი კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებაში.* თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი.

და ბოლოს, წარმოგიდგენთ ბიბლიოგრაფიის მითითების ტექნიკას APA-ს ფორმატის ფარგლებში:

წიგნი, რომელსაც ერთი ავტორი ჰყავს:

ავტორის გვარი, ინიციალი. (გამოცემის თარიღი). *სათაური.* გამოცემის ადგილი: გამომცემელი.

წიგნი, რომელსაც ორი ან მეტი ავტორი ჰყავს:

I ავტორის გვარი, ინიციალი. და II ავტორის გვარი, ინიციალი. (თარიღი). *სათაური.* გამოცემის ადგილი: გამომცემელი.

წიგნი, რომელსაც რედაქტორი ჰყავს:

ავტორის გვარი, ინიციალი. (რედ.). (გამოცემის თარიღი). *სათაური.* გამოცემის ადგილი: გამომცემელი.

***სტატია ან დამოუკიდებელი თავი წიგნიდან, რომელსაც ერთი ან რამდენიმე რედაქტორი ჰყავს*:**

ავტორის გვარი, ინიციალი. (გამოცემის თარიღი). სტატიის ან თავის სათაური. წიგნის რედაქტორის გვარი, ინიციალი. (რედ.). *წიგნის სათაური* (გვერდები). გამოცემის ადგილი: გამომცემელი.

ხელახლა გამოცემული წიგნი:

ავტორის გვარი, ინიციალი. (გამოცემის თარიღი). *სათაური.* (მერამდენე გამოცემაა). გამოცემის ადგილი: გამომცემელი.

წიგნი, რომელსაც ავტორი ან რედაქტორი არა ჰყავს:

წიგნის სათაური. (გამოცემის თარიღი). გამოცემის ადგილი: გამომცემელი.

მრავალტომიანი ნაშრომი:

ავტორის გვარი, ინიციალი. (რედ.). (გამოცემის თარიღი). *წიგნის სათაური.* (ტომები). გამოცემის ადგილი: გამომცემელი.

ლექსიკონი:

სათაური. (მერამდენე გამოცემაა). (გამოცემის თარიღი). გამოცემის ადგილი: გამომცემელი.

სტატია ჟურნალიდან:

ავტორის გვარი, ინიციალი. (გამოცემის თარიღი). სტატიის სათაური. *ჟურნალის სათაური,* ტომის ნომერი, გვერდები (არ იწერება გვ.).

სტატია გაზეთიდან:

ავტორის გვარი, ინიციალი. (გამოცემის თარიღი). სტატიის სათაური. *გაზეთის სათაური,* გვერდები (იწერება გვ.).

დისერტაცია ან ავტორეფერატი:

ავტორის გვარი, ინიციალი. (გამოცემის თარიღი). *სათაური.* დისერტაცია, უნივერსიტეტი, მისი მდებარეობა.

ლექციაზე მიცემული მასალა:

ლექტორის გვარი, ინიციალი. (თარიღი). *სათაური.* მასალა წარმოდგენილი ამა და ამ ლექციაზე, უნივერსიტეტი, მისი მდებარეობა.

სამთავრობო დოკუმენტი:

სამინისტროსა თუ დაწესებულების სახელწოდება. (გამოცემის თარიღი). *დოკუმენტის სათაური* (პუბლიკაციისა თუ ბრძანების ნომერი). გამოცემის ადგილი: გამომცემელი.

არანაბეჭდი წყაროები:

გვარი, ინიციალი. (პოზიცია). (თარიღი). სათაური [ფილმი, ტელეგადაცემა...]. გამოცემის ადგილი: გამომცემელი.

მასალა ინტერნეტიდან:

ავტორის გვარი, ინიციალი. (ინტერნეტში პუბლიკაციის თარიღი). დოკუმენტის სათაური. *ნაშრომის სათაური სრულად.* ნაშრომის ინტერნეტში მოძიების თარიღი და საიტის მისამართი.